დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გიორგი ნებიერიძე

წევრ(ებ)ი:

ნელიკო მათეშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211360141

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი, ვაკე-საბურთალო
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქ. N12
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.muschool.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	g.chkondideli@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	2 135135

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 03 ნოემბრის ბრძანება № MES 0 25 0001504684.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 27 და 28 ნოემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ (შემდგომში საბჭო) 2024 წლის 02 დეკემბრის (№ MES 8 24 0001543248) სხდომაზე სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში ცენტრი) მიმართა შუამდგომლობით შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში 2025 წლის ნოემბრიდან მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 ნოემბრის ბრძანება № MES 0 25 0001504684-ის საფუძველზე ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში 2025 წლის 27-28 ნოემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების შეფასების მიზნით.

გეგმიური მონიტორინგის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შესაბამისი დოკუმენტაცია ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების შესრულების შეფასება, რის ფარგლებშიც განხილულ იქნა სკოლის მისია, ხედვა, სკოლის მართვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვა, ასევე სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მდგომარეობა. ვიზიტი წარიმართა საქმიან, კონსტრუქციულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში.

ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის დებულებით და ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული საკითხები. პროცედურის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით, დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის მიზნით, დაინტერესებულ მხარესთან, განმცხადებელ თ. ს.-თან, ჩატარდა ინტერვიუ დისტანციურ ფორმატში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). გასაუბრება გაიმართა მოქალაქე თ. ს.-ის მიერ გამოჩენილი ინტერესის საფუძველზე, რაც განპირობებული იყო წინა ადმინისტრაციული წარმოებით (გასული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა თ. ს.-ის საჩივარი, რომელიც იმ დროისათვის იყო შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მოსწავლის მშობელი). აღსანიშნავია, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოება დასრულებულია და მისი შედეგების საფუძველზე სკოლას ჩაენიშნა მონიტორინგი ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში (საფუძველი: 2024 წლის 02 დეკემბრის სხდომის ოქმი).

გასაუბრების პროცესში, მოქალაქე თ. ს.-მა დეტალურად ისაუბრა მის მიერ წამოყენებულ საკითხებზე და განაცხადა, რომ სკოლის მხრიდან ადგილი ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაძლო დარღვევას. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა სკოლის საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე და ისაუბრა საქმის წარმოების შესაძლო არაჯეროვნად განხორციელების ფაქტზე. ინტერვიუს პროცესში განხილული ფაქტობრივი გარემოებები შემდგომში, დამატებით გადამოწმდა ადგილზე, სკოლის გარემოში ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს როგორც შესაბამისი დოკუმენტები, ისე სასკოლო საზოგადოების წევრებთან: დირექციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან შედგა ინტერვიუები.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულად, თანამშრომლობით და ეფექტიან გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1300	1006

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს სკოლის მრავალპროფილური, თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. სასკოლო გარემოზე დაკვირვებით და საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება გამოირჩევა როგორც გაძლიერებული მათემატიკური მიმართულებით, ისე გაძლიერებული ინგლისური ენის სწავლებით, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას სკოლის ბაზაზე მოემზადონ საერთაშორისო გამოცდებისათვის, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში. სკოლა აგრეთვე სისტემატურად ახორციელებს STEM-პროექტებს.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორის მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსი.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები I და IV სტანდარტში, არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც _ „სრულად შეესაბამება“.

მესამე სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორი 3.4.1.1 - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე შეფასდა _ „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-*	*სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის სამინისტროსთან საბოლოო შეთანხმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.09.2026- მდე).*

1

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ*
ინდიკატორი N 3.4.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების გატარება, კერძოდ:* *უზრუნველყოს ეფექტიანი სადამრიგებლო მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება ბულინგისა და კონფლიქტების წინააღმდეგ, ასევე მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ.* *გააგრძელოს კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა, მასზე დაკვირვება და მთელი სკოლის მასშტაბით გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებისაკენ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.*	[შესრულებულია](#)
ინდიკატორი N 3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*უზრუნველყოს სკოლის ყველა მშობლის მიერ ხელშეკრულების დანართის გაცნობა, რომელიც გულისხმობს მათი შვილების პერსონალური მონაცემების საჭიროების შემთხვევაში გასაჯაროების საკითხს. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.*	[შესრულებულია](#)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებს. სკოლა მიზნად ისახავს თითოეული ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალის, უნიკალური ნიჭის აღმოჩენას და მათი წარმატებული პიროვნული, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარების უზრუნველყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებას, რაც ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებს შეესაბამება.

სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე და სასკოლო საზოგადოებას სთავაზობს ციფრული ეპოქის მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამის განათლებას. აღნიშნული მიდგომა ემსახურება ეროვნული მიზნის სწავლის ხელმისაწვდომობის, თანასწორობისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის რეალიზებას.

ზემოხსენებული ინფორმაცია ნათლად აჩვენებს, რომ სკოლის ხედვა ეფუძნება უსაფრთხოების, მოქალაქეობრივი განათლების, ინკლუზიური სწავლების, აკადემიური ზრდისა და მოსწავლის ინტერესებზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს, რაც მთლიანობაში ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ნათლად ასახავს ძირითად პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ, ინტელექტუალურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე. მასში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს განათლებული, გონებრივად და ფიზიკურად განვითარებული, ჯანსაღი თაობა. ყველაფერი ეს წარმოადგენს იმ ღირებულებით ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს სკოლის როლს საზოგადოების წინაშე.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მიიჩნევს განათლებას, როგორც მოსწავლეების, ოჯახებისა და პედაგოგიური საზოგადოების თანაზიარ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მიდგომა ქმნის მხარდაჭერის, თანამშრომლობისა და ურთიერთ ზრუნვაზე დაფუძნებულ კულტურას.

ამგვარად, სკოლა ასრულებს მის მიერ განსაზღვრულ როლს, წარმოადგენს უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ოფიციალურად არის ჩამოყალიბებული სასკოლო საზოგადოების მიერ.

ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტებით, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში სკოლამ მიმართა ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, ანკეტირება, გაერთიანებული შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან და მათგან მიღებული უკუკავშირის შედეგად შეიქმნადოკუმენტის საბოლოო ვერსია. მაშასადამე სკოლა ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა ჩართულობას სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირებისა და განხორციელების პროცესში. **1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დირექციამ განახორციელა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის პროცესი. ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავდა სკოლის ფუნქციური მიმართულებებისა და მიზნების განახლებას.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტების შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი სრულად იყო უზრუნველყოფილი რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტის ძირითადი შინაარსის გაცნობა და მისი პრინციპების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის პოლიტიკის მიკუთნებულობის განცდის გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის ზრდას. **1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე, სკოლის ფოიში. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე (https://muschool.edu.ge/), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას და ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა და სხვა ვიზიტორებმა ნებისმიერ დროს შეძლონ, გაეცნონ სკოლის მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ღირებულებებს.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის ღირებულებებისა და მიზნების ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრირებას, რადგან უზრუნველყოფილია მათზე მუდმივი ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ სასკოლო კლიმატს, რომელიც აძლიერებს საზოგადოების ჩართულობასა და სკოლისადმი ნდობას. **1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული სახელწოდებით, დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი“. აღნიშნული ფორმულირება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას.**1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდი (https://muschool.edu.ge/)
- საჯარო რეესტრის ამონაწერი
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №4 სხდომის ოქმით. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული განვითარების ციკლის ყველა ძირითად ეტაპს და მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს, ისე პროცესში ჩართულ მხარეებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათი კორექტირების და ფართო საზოგადოებისთვის გაზიარების პროცედურები. გარდა ამისა, მეთოდოლოგია ასახავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პრინიპებსა და პროცესს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვისა და შესრულების ციკლურ, სისტემურ და გამჭვირვალე მართვას.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის გზით დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაფუძნებულია გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებზე, რაც ემსახურება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას. განსაზღვრულია ასევე კონკრეტული პასუხისმგებლობები სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რაც ზრდის პროცესის ორგანიზებულობასა და ხელმისაწვდომობას. **1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული (2022 წლის 9 სექტემბერი №1 სხდომის ოქმი) სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2022-2029), რომელიც მოიცავს სკოლის სკოლის განვითარების კონცეფციას და სტრატეგიულ მიმართულებებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. **1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებული შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით და ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. შესაბამისად **1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად **1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2022-2029);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა მისიისა და ხედვის გადახედვის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი გეგმების შემუშავების, მათი განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება და შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანალიზდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან გამართული გასაუბრების საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.

რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის მასალებს, მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა აღნიშნული გეგმის მონიტორინგს ახორციელებს სამ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი დაგეგმილია და განხორციელდება 2025-2026 სასწავლო წლის დასასრულისათვის.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულები არიან გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ვალდებულნი არიან წარმოადგინონ განხორციელებული ღონისძიებების შესრულების ანგარიშები. სკოლა აღნიშნულ პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს.

1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომლის შედეგებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ანგარიში არა მხოლოდ შეხვედრებისა და კომუნიკაციის გზით გააცნო სკოლამ დაინტერესებულ მხარეებს, არამედ სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზეც არის გამოქვეყნებული, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ინფორმაციის დროულ განახლებას და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.**1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა სრულფასოვნად აწარმოებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს, რომელთა შედეგები სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ცნობილია.

კერძოდ, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სკოლამ განახორციელა დაგეგმილი ღონისძიებების კორექტირება, მათ შორის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება და სასწავლო რესურსების გადახედვა. აღნიშნული ცვლილებები ასახულია შემდგომი პერიოდის სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების

სისტემატური გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში წარმატებით ხორციელდება.**1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2022-2029 წლები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი რეესტრით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი; აღმასრულებელი დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მენეჯერი (I-IV კლასები) (V-XIIკლასები); ორგანიზაციული განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი; იურისტი; საქმისმწარმოებელი; IT მენეჯერი; ადამიანური რესურსების მენეჯერი; PR მენეჯერი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; ბუღალტერი; მოლარე; დირექტორის მოადგილე; ბიბლიოთეკარი; ფსიქოლოგი; სპეციალური მასწავლებელი; სკოლის ექიმი; ექთანი; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამსახური; დაცვის სამსახური; ბენდი; კლასის დამრიგებელი; დამლაგებელი; მეეზოვე; კვების ბლოკის მომსახურე პერსონალი; წრის ხელმძღვანელი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენები. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: პედაგოგიური საბჭო, 10 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და სკოლის შინაგანაწესით''.

დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის

კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. სკოლას შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის უფლებამოსილებებს, პასუხისმგებლობებსა და ფუნქციურ მოვალეობებს. აღნიშნული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელების პროცესში როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას. **3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. აგრეთვე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, **3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საჭიროებათა იდენტიფიცირებასა და ანალიზს. კერძოდ, სკოლაში სისტემატურად ტარდება სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვები, რომელთა შედეგების საფუძველზე განისაზღვრება

პერსონალთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები. მიღებული მონაცემები გამოიყენება შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის პრევენციულ ხასიათს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი მასალების (ოქმები, ბრძანებები) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სკოლა ახორციელებს დროულ ინტერვენციას და კვალიფიციური კადრის შერჩევის მიზნით აცხადებს ღია კონკურსს. კონკურსის ფარგლებში საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქვეყნდება დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge, რაც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და კონკურენტულობას. ამასთან, სკოლის დირექტორთან გამართული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლა იყენებს ოპერატიულ ინტერვენციულ მექანიზმებს. კერძოდ, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში სასწავლო საათები გადანაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. აღნიშნული მიდგომები ადასტურებს, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული, როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფექტიანად პასუხობს როგორც მიმდინარე, ასევე პოტენციურ გამოწვევებს. **3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის

საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. შერჩევითობის პრინციპით თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეში მოთავსებულია ნასამართლობის ცნობა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და აგრეთვე ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად, **3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესი" ამჟამად აერთიანებს 165 თანამშრომელს, რომელთაგან 119 მასწავლებელია. თითოეულ მათგანს უდასტურდება შესაბამისი სტატუსი: 89 უფროსი მასწავლებელი, 19 წამყვანი, 1 მენტორი, 4 მოწვეული და 6 დამატებითი მასწავლებელი. სკოლას აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ პოზიციაზე. არსებული მონაცემებით, დაწესებულებაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს საკუთარ პოზიციაზე განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. რაც შეეხება მასწავლებელთა შერჩევის პროცესს, სკოლის ვაკანსიების ელექტრონული განცხადებების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული საკონკურსო კომისიის მასალების მიხედვით დადგინდა, რომ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში სკოლა დროულად აცხადებს კონკურსს კვალიფიციური კადრების შესარჩევად. ზემოთ აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლა ეფექტურად ახორციელებს პერსონალის მართვას. **3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს და საგნობრივ

კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს. ხარისხის მართვის მენეჯერი აკვირდება საგაკვეთილო პროცესს შესაბამისი რუბრიკების საშუალებით. აგრეთვე მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის, სერტიფიკატის ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემით.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი (დანართი 3). აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აგრეთვე წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს დაწესებულების თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. აღნიშნული დებულებით სკოლის მიზნების მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესია გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივი მონიტორინგი, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასება და ანალიზი. რაც შეეხება აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ პროცესს, სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ფორმები უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის საქმიანობის კომპლექსურ აღქმას და წარმოადგენს საფუძველს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრისთვის.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე, სკოლა ადგენს თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სამეწარმეო აქტივობები ან პროფესიული სემინარები. **3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის განვითარება ორგანიზებულია სისტემატურად და მთლიანად ეფუძნება გამოვლენილ პროფესიულ საჭიროებებს. აღნიშნული პროცესი რეგულირდება შესაბამისი ბრძანებებით და დოკუმენტებით. კონკრეტულად, სკოლის საქმიანობაში ჩართულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ფლობს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სერტიფიკატს. მისი საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით და მოიცავს პერსონალის პროფესიული

საჭიროებების იდენტიფიცირებას. ასევე, სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციონირება რეგლამენტირებულია სკოლაში დამტკიცებული დებულებით. დებულებაში გაწერილია ჯგუფის უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ძირითადი მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. სკოლის პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია მრავალმხრივი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას აძლევს პროფესიული საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას და ანალიზს. ეს მოიცავს როგორც პერსონალის საქმიანობის სისტემატურ შეფასებას, ისე მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფესიული ინტერესებისა და გამოწვევების გამოვლენას. აღნიშნული მონაცემები უზრუნველყოფს პერსონალური განვითარების გეგმის შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს როგორც ინდივიდუალური პროფესიული ზრდის მხარდაჭერას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. **3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მიზანმიმართულად უწყობს ხელს პერსონალის კარიერულ წინსვლას, ქმნის სისტემურ და უწყვეტ პროცესს პროფესიული განვითარებისათვის. ადმინისტრაცია აქტიურად იკვლევს თანამშრომლების საჭიროებებს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით აწყობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროფესიულ გეგმებს, რაც პირდაპირ აისახება კარიერული ზრდის შესაძლო შესაძლებლობებზე. სკოლის თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ საგანმანათლებლო ტრენინგებსა და სემინარებში, რომლებიც ამაღლებენ მათ პროფესიულ კომპეტენციებს; მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და ინოვაციურ პროექტებში; გამოიყენონ შიდა და გარე შესაძლებლობები კარიერული სტატუსის ამაღლებისათვის (მაგალითად, უფროსი, წამყვანი, მენტორი პოზიციებზე წინსვლა).

ამგვარად, სკოლა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას, არამედ ქმნის პირობებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს თანამშრომლების კარიერულ ზრდას. **3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. სკოლა აქტიურად ზრუნავს თანამშრომელთა ეფექტურ ინტეგრაციაზე სამუშაო გარემოში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა

და მასწავლებელთა გასაუბრების შედეგების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სკოლა თანამშრომლებს უზრუნველყოფს თანაბარი შესაძლებლობებითა და გამჭვირვალე პროცესებით. ახალდანიშნულ თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში: მათ ეცნობებათ სკოლის ღირებულებები, მიზნები, შინაგანაწესი და პროფესიული ვალდებულებები, ასევე განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და განვითარების პერსპექტივები. პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ახალბედა კადრებმა სკოლის ბაზაზე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გაიარონ შეფასება. თანამშრომელთა ადაპტაცია-ორიენტაციის სისტემა უზრუნველყოფს როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ ინტეგრაციას, რაც ზრდის მოტივაციას, აუმჯობესებს სამუშაო გარემოს და ამყარებს კოლეგიალურ ურთიერთობებს. **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტებში არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, შესაბამისად, **3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი (ბრძანება № 05/56; 01.08.2024), რომლის საფუძველზეც სკოლაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ხარისხის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები; სკოლაში სწავლა-სწავლებისა ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები; ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც

პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. შესწავლილი დოკუმენტაციით და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება მუშაობს აღნიშნული პრინციპით. სასკოლო პროცესების შეფასება მიმდინარეობს ციკლურ რეჟიმში და ეფუძნება შიდა ხარისხის მართვის მოდელს „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ (PDCA). მონიტორინგის პროცესში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წარმომადგენლებთან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის უწყვეტი განხორციელება, რაც აისახება როგორც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან მართვაში, ისე მიღებული შედეგების ანალიზსა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში. ამ პროცესში გათვალისწინებულია როგორც შიდა მონიტორინგის შედეგები, ასევე სხვადასხვა წყაროდან მიღებული უკუკავშირი. აგრეთვე, ხარისხის მართვის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი დაინტერესებული მხარეები მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფილია გამოკითხვების, უკუკავშირის მექანიზმებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების მეშვეობით. **3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული და დოკუმენტურად აღწერილია ყველა ის პროცესი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვასთან. იდენტიფიცირებულია მმართველობითი პროცესები (სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა), ძირითადი პროცესები (სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, სასწავლო პროგრამების განხორციელება) და დამხმარე პროცესები (ადმინისტრაციული მომსახურება, ინფრასტრუქტურის მართვა, საინფორმაციო უზრუნველყოფა, უსაფრთხოების წესების დაცვა). სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები; თანამშრომლის მიღების წესი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შესაბამისად, **3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განსაზღვრულია პროცედურები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა ან საჩივრის წარდგენა.

პროცესი მოიცავს საჩივრის მიღების, განხილვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ ეტაპებს, ასევე ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არცერთი გასაჩივრების ან საჩივრის შემთხვევა. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშომელთა ხელშეკრულებები;
- განცხადების და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს.

გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი

მშობელთა კრების ოქმები ადასტურებს, რომ მშობლები და მოსწავლეები მუდმივად ინფორმირებულნი არიან დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ.
ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (faceebook - მშობლებთან და მოსწავლეებთან სპეციალური ფორმით შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დოკუმენტი), სადაც რეგულარულად ქვეყნდება განცხადებები, სიახლეები და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
ინფორმაციის მიწოდების მრავალარხიანი სისტემა აძლევს სკოლას საშუალებას არა მხოლოდ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას, არამედ მიიღოს უკუკავშირიც. **3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით კერძოდ: პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა.
სკოლაში ფუნქციონირებს 10 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.
მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.
სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, **3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმების პროცესშია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის დამადასტურებელი მიწერილობები და აღნიშნული დოკუმენტის კორექტირებული ვარიანტები (სკოლამ ბოლო რეკომენდაციები, რომელიც სამინისტროს მხრიდან მიიღო, გაითალისწინა, ასახა დოკუმენტის ახალ ვარიანტში და გადაგზავნა 2025 წლის 25 ნოემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინსტროში; წერილი; №02/694). თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 24.10.2025 15.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის სამინისტროსთან საბოლოო შეთანხმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.09.2026- მდე).</u>

სკოლამ წარმოადგინა შპს სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული „არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში“ _ ანგარიში №BI-066 (22.04.2025), რომლის დასკვნის ნაწილში ნათქვამია, რომ „ზემოაღნიშნული ინსპექტირება-შეფასებიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქ. №12 (ს.კ. 01.18.04.002.004) სკოლა-ლიცეუმის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის №52-ე დადგენილებას და საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

სკოლამ წარმოადგინა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ხელშეკრულება NO108/07 მომსახურების გაწევის შესახებ, აგრეთვე დამტკიცებული და შეთანხმებული საევაკუაციო გეგმის ამსახველი დოკუმენტები, რომელიც გაცემულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ (MIA 8 24 021 49434; 16/07/2024).

შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „ზნიეპის“ (აკრედიტებულია: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0263) მიერ შესრულებული ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში (ინსპექტირების პერიოდი: 12.07.2024 – 16.07.2024). ანგარიშის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „შენობის ტექნიკური მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. რაიმე პროცესები, რომლებიც შენობის ექსპლუატაციის პროცესში საფრთხეს გამოიწვევდა, არ ფიქსირდება. მთლიანობაში შენობის ტექნიკური მდგომარეობა ფასდება დადებითად და მისი ექსპლუატაცია ამ ეტაპზე დასაშვებია“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

გამომდინარე იქედან, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი **3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, იგი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ზოგადი პროფილის ექიმის (პედიატრი) კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის პირად საქმეშიც წარმოდგენილია შესაბამისი დიპლომი და სახელმწიფო სერტიფიკატი. ექსპერტები ადგილზე ეწვივნენ სამედიცინო ოთახს და გაესაუბრნენ სკოლის ექიმს და ექთანს. სკოლის ექიმმა წარმოადგინა სპეციალური ფორმები და ჟურნალები რომელებსაც რეგულარულად აწარმოებს სკოლის სამედიცინო კაბინეტში, რაც სრულად შეესაბამება მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის ექიმი შერჩეულია კანონის სრული დაცვით. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს აგრეთვე ემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. გარდა ამისა, სკოლას აქვს შემუშავებული წესი, რომლის მიზანიცაა სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევა და პროცედურები. აგრეთვე,

განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა. **3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები/კოორდინატორები სკოლის ყველა სართულზე. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა შეთანხმების პროცესშია. სკოლაში დასაქმებულია დაცვის სამსახურის 3 წევრი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 16 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, რომლის მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. **3.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში არის გარემო რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. დაწესებულებას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირება. სკოლაში აგრეთვე დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც მოქმედებს შესაბამისი გეგმის საფუძველზე. წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „სკოლამ უზრუნველყოს ეფექტიანი სადამრიგებლო მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება ბულინგისა და კონფლიქტების წინააღმდეგ, ასევე მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ“. წინა წარმოების ფარგლებში გამოკვეთული გარემოება მიუთითებდა, რომ სკოლაში ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად სისტემატიზებული არ იყო. დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში მოქალაქე თ. ს.-მა ისაუბრა გარემოებებზე, რომლებიც უკავშირდებოდა სკოლაში ურთიერთობების რეგულირებას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

ექსპერტებმა, წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის, სასკოლო საზოგადოებასთან და ფსიქოლოგთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაცია. სკოლა ხშირად მართავს საინფორმაციო შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრება. შესაბამისად **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 10 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

ინდიკატორის შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი გარემოებები, ისე განმცხადებლის წერილსა და განმცხადებელთან ჩატარებულ ინტერვიუში ასახული საკითხები. კერძოდ, გასაუბრების პროცესში მოქალაქე თ. ს.-მა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და შესაძლო გასაჯაროებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, სკოლამ დაარღვია პერსონალური

მონაცემების დაცვის წესები, ვინაიდან, მისი თქმით, საჩივრის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, სავარაუდოდ, სასკოლო საზოგადოების ცალკეული წევრების მიერ განიხილებოდა საჯაროდ.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებების შედეგად დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნდა პერსონალური მონაცემების დაცვის შიდა რეგულაციები, ყველა მშობლის მიერ ხელშეკრულების დანართის გაცნობის პროცესი, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შესაძლო გასაჯაროებას, არ იყო სათანადოდ დადასტურებული და ფორმალიზებული.

ზემოაღნიშნული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე, წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია: „სკოლამ უზრუნველყოს ყველა მშობლის მიერ ხელშეკრულების დანართის გაცნობა, რომელიც გულისხმობს მათი შვილების პერსონალური მონაცემების საჭიროების შემთხვევაში გასაჯაროების საკითხს.“

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციებში შედის პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესების მონიტორინგი და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი პერიოდულად მართავს საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს მშობლების, მოსწავლეებისა და პერსონალისთვის და აცნობს მათ პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებულ მოთხოვნებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. **3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შესაბამისად **3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ოქმები) და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ცენტრალური როლი ენიჭება უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მართვაში. საბჭო სისტემატურად განიხილავს მოსწავლეთა, პერსონალისა და სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, აფასებს მათ, ადგენს პრევენციული და კორექტირების ღონისძიებებს და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. **3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს "თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი" სასწავლო საქმიანობას ერთ მისამართზე განთავსებულ ოთხ სართულიან შენობაში ახორციელებს.

სკოლა მდებარეობს: ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N12ა . აღნიშნული სამ სართულიანი ნაგებობა 17/11/2025 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. შენობის დაზუსტებული ფართი შეადგენს 5120.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს საქვაბე და სპორტული მოედანი. უძრავი ქონება სკოლის საკუთრება. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 72.16.17.935.

საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. თითოეულ კლასში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და საჭირო სასწავლო ინვენტარი, რომელიც სკოლის საკუთრებას წარმოადგენს. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს ერთიანად ფუნქციონირებად სპორტულ დარბაზს, საცურაო აუზს, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიებს, სამედიცინო კაბინეტს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციულ ოთახებს, სამასწავლებლოს, რესურსოთახს და სხვა დამხმარე სივრცეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების პროცესის მრავალფუნქციურობას. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს სპორტული მოედანი, რომელიც საშუალებას

აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ ფიზიკურ აქტივობებში და განახორციელონ სასკოლო სპორტული ღონისძიებები. **3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საერთო სარგებლობის სივრცე, რომლებიც განკუთვნილია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: გარე სივრცე (თავისუფალი გაკვეთილებისათვის), კომპიუტერული ოთახები, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას; საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განკუთვნილი ოთახი; სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, ასევე, სამასწავლებლო. სკოლის სააქტო დარბაზი, ფოიე, დერეფნები და ეზო წარმოადგენს მრავალფუნქციურ სივრცეებს, რაც იძლევა სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. მაშასადამე **3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სასკოლო ბიბლიოთეკის მასალების შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია სკოლის საკუთრებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი (ბეჭდური, ელექტრონული, ფოტო და ვიდეო-მასალა). შესაბამისი დებულებით და გეგმით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკის მიზნები: საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით. საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციით. ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ რეესტრში. **3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა შშმ პირი). ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო

და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს და საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახები. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, პერსონალური/ პორტატული კომპიუტერები

(ლეპტოპი), პროექტორი, პრინტერი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. კომპიუტერულ ოთახებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს. **3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. კომპიუტერული ტექნიკის სწორი ფუნქციონირების, ტექნიკური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის IT მენეჯერი. დაწესებულება ხელმძღვანელობს დადგენილი წესის შესაბამისად **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი მატერიალურად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც მოქალაქე თ.ს-თან ჩატარებულ ინტერვიუში ასახული გარემოებები, ისე დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე განხორციელებული შეფასების შედეგები. კერძოდ, განმცხადებელმა მოქალაქე თ. ს.-მ გასაუბრების პროცესში ყურადღება გაამახვილა სკოლის საქმის წარმოების პროცესში არსებულ შესაძლო ხარვეზებზე და მიუთითა საქმისწარმოების შესაძლო არაჯეროვნად განხორციელების ფაქტებზე, რაც, მისი შეფასებით, არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. განმცხადებლის განმარტებით, მის მიერ სკოლისთვის გაგზავნილ ოფიციალურ კორესპონდენციებზე სკოლა არ რეაგირებდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, რაც, მისი აზრით, აჩენს საქმისწარმოების ეფექტიანობასა და დროულობაზე დაკავშირებულ საკითხებს.

აღნიშნული საკითხების საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შეისწავლა სკოლის საქმისწარმოების სისტემა, მათ შორის სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისი დოკუმენტაცია. ადგილზე განხორციელებული დაკვირვებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მომენტისათვის საქმისწარმოება ხორციელდება სკოლაში მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისი წესის მიხედვით და სარეგისტრაციო ჟურნალები იწარმოება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. **3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესების გამარტივებას, ინფორმაციის სწრაფ მოძრაობასა და დოკუმენტების სისტემატურ მართვას. ადმინისტრაცია იყენებს

ელექტრონულ სისტემას -SchoolBook-ს, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა მონაცემებისა და ადმინისტრაციული ინფორმაციის ერთიან, ელექტრონულ პლატფორმას. სკოლას ასევე აქვს ელექტრონული ფოსტა (g.chkondideli@yahoo.com), რომლის საშუალებით მიმდინარეობს სკოლაში როგორც მიმდინარე ინფორმაციის, ისე დოკუმენტების მიღება და გაგზავნა. ელექტრონული ფოსტის გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ, თვალსაჩინო და დოკუმენტირებული მიმოცვლას სკოლაში როგორც ადმინისტრაციის, ისე პედაგოგთა და სხვა დაინტერესებული მხარეების შორის. **3.6.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. **3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ფოსტას საგანმანათლებლო ანგარიშების, ინფორმაციისა და უკუკავშირის მიწოდებისთვის. დაწესებულება, საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აგრეთვე სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა დროულად, სისტემატურად და გამჭვირვალედ აწვდის ინფორმაციას მარეგულირებელ ორგანოებს, ასევე, ეფექტურად თანამშრომლობს მათთან საგანმანათლებლო პროცესების, დოკუმენტაციისა და საჭირო რეკომენდაციების განხორციელების საკითხებში. **3.6.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;

- Eschool -ის და ელ.ფოსტის - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

შპს "თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი" სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: www.muschool.edu.ge, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი სიახლეები. დამრიგებლის სამუშაო გეგმა განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. **3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (www.muschool.edu.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ოფიციალური ვებ -გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების (სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანკეტები; შეხვედრის ოქმები.) შესწავლით და ადმინისტრაციასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში. **3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (www.muschool.edu.ge). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია; სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ამისა, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, აგრეთვე ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსებული იყო სოციალურ ქსელში და გამოკრული იყო სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. **3.6.3.5. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის (www.muschool.edu.ge) დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ფინანსური მდგრადობის დოკუმენტი. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის დოკუმენტი, გულისხმობს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ყველა რესურსის ეფექტიან გამოყენებას. ფინანსების სწორი განკარგვა საშუალებას აძლევს სკოლას პროცესი განხორციელდეს ეფექტურად. **3.7.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფინანსური მდგრადობის დოკუმენტ;
- ფინანსური ანგარიში;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის დოკუმენტაციის შესწავლიდან დგინდება, რომ სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს არეგულირებს შინაგანაწესის მეშვეობით. კერძოდ, გაწერილია სკოლაში დასაქმებულთა საქმიანობის ეთიკის ნორმები, ასევე უზრუნველყოფილია რომ მოსწავლეები ინფორმირებულნი იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ, გაწერილია მასწავლებლეთა უფლებები და მოვალეობები მოსწავლეებთან ურთიერთობის ნაწილში, მოსწავლეთა უფლებები სკოლის მართვის ნაწილში მათი ჩართულობის შესახებ, სასკოლო ცხოვრებაში უშუალოდ მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. მუხლი.10 უშუალოდ არეგულირებს მოსწავლის უფლებებს, ხოლო მუხლი. 11 მათ ვალდებულებებს. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, ჰყავს არჩეული პრეზიდენტი, რომელიც გუნდთან ერთად სასწავლო წლის მანძილზე გეგმავს და

ახორციელებს მოსწავლეებიდან შემოსულ ინიციატივებსა და აქტივობებს, რაც მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ აქვთ შესაძლებლობა როგორც თვითგამოხატვის, ისე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისა სასკოლო საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა (პროექტი), რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგს (მუხლი.7). **4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მოსწავლეთა უფლებეის დაცვის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სასკოლო რეგულირების გამჭირვალობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მოსწავლის მშობლის უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რათა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვა/რეალიზება. შესაბამისად, **4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პერსონალაურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან. **4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (პროექტი).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის''. სკოლის eschool ბაზა მოწესრიგებულია, პროცესები მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციების დაცვით. შესაბამისად. **4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს აღნიშნულ მექანიზმს, Eschool-ის ბაზაში ასახულია მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება თუ შეწყვეტა. Eschool-ის დათვალიერებით და მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება,

რომ პროცესი მიმდინარეობს აღნიშული წესის მიხედვით. იწარმოება ბრძანებებისა თუ შემოსული/გასული კორესპონდენციების მატერიალური აღრიცხვის ჟურნალები, გაიცემა ცნობები საჭიროებისა და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში. სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები დასტურდება მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებებით დადგინდამ რომ ინფორმირებულნი არიან სკოლაში არსებულ მომსახურეობის სახეების, პირობებისა თუ სერვისების შესახებ. სკოლას აქვს საკლუბო მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა სარგებლობის შესახებ ინფორმაციას სრულყოფილად ფლობს სასკოლო საზოგადოება. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. შესაბამისად, **4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- Eschool;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ადაპტაციის წესი არეგულირებს ამ პროცესის მიმდინარეობის ეტაპებს, ადაპტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებს, წარმატებული/წარუმატებელი ადაპტაციის ნიშნებს, გასცემს გასათვალისწინებელი რეკომენდაციების სიას მშობლებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ადაპტაციის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა პრაქტიკული მექანიზმები: მაგალითად, ახალ მოსწავლეებს სხვადასხვა საგაკვეთილო სესიების შემდეგ ენიშნებათ ფსიქოლოგისა და კურატორის შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ პირად მხარდაჭერას, რჩევებს და საჭირო დახმარებას. ასევე, მშობლებთან ინიცირდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც განიხილება ადაპტაციის სტადიები, ბავშვის სოციალური და ემოციური საჭიროებები და გასაცემი რეკომენდაციები, რათა მშობლებმა შეძლონ აქტიური ჩართულობა პროცესში. **4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის ძირითად ეტაპებს უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი კლასების მაგალითზე, სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ წარმატებით გაიარეს ადაპტაციის პერიოდი, საჭიროების შემთხვევაში ჩართული იყო პედაგოგთა მხარდაჭერის მიმართულებით. მშობლებთან გასაუბრებით

დადგინდა, პედაგოგებისა და ფსიქოლოგის დადებითი როლი მოსწავლეების ადაპტაციის პროცესში. სკოლაშ ვიზიტის დროს ირიცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. შესაბამისად, **4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ნაწილში. დაწყებით საფეხურზე (მეხუთე კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით) მოსწავლე იღებს განმავითარებელ შეფასებას, შესაბამისად იღებს საჭირო მხარდაჭერას აკადემიური სირთულეების დაფიქსირების შემთხვევაში. მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეებთან გასაუბრებებისას დგინდება, რომ მათი აკადემიური მიღწევები მხარდაჭერილია მასწავლებლების მხრიდან, გამოვლენილი სირთულების შესაბამისად იღებენ შესაბამის საგნობრივ თუ სადამრიგებლო კონსულტაციას. სკოლის ადმინისტრაცია გარკვეული პერიოდულობით ატარებს პედაგოგების გამოკითხვას, წარმოდგენილია კითხვარი. გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაცია ეცნობა პედაგოგთა მოსაზრებებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებისა და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შესახებ. **4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სივრცე სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, **4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მიერ შეთავაზებულია მხარდამჭერი გარემო მათი ინიციატივების წამახალისებლად. კერძოდ, მოქმედი თვითმმართველობა სკოლის ადმინისტრაციის და საგნის პედაგოგების მხარდაჭერით ახორციელებს სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებს მოსწავლეებისთვის. სასკოლო გარემო კეთილმოწყობილია იმგვარად, რომ ინფრასტრუქტურული და ტექნიკური მხარდაჭერით, კონკრეტული სივრცეების არსებობით, სკოლაში წახალისებულია არაფორმალური აქტივობების განხორციელება. დამრიგებლის მიერ იგეგმება გასვლითი გაკვეთილები (გაკვეთილები სკოლის ღია სივრცეში, ქალაქში თუ ქალაქგარეთ შემეცნებითი ექსკურსიები). სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, სადაც იმართება არაფორმალური/სალექციო ტიპის შეხვედრები, ასევე შემოქმედებითი ღონისძიებები. **4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სამოქმედო გეგმის ანგარიშის მიხედვით, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გადახედავს განხორციელებულ აქტივობებსა და პროცესებს. სკოლის ადმინისტრაცია მხედველობაში იღებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები…) შეფასებებს, აკეთებს რევიზიას და ამის საფუძველზე შეაქვს ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, აღნიშული პროცესი მიმართულია სასკოლო გარემო იმგვარად წარიმართოს, რომ მოსწავლეთათვის გაწეული მომსახურეობა მუდმივად მიმართული იყოს გაუმჯობესებისკენ. **4.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის წესი
- დირექტორის ბრძანება “მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის წესის” დამტკიცების შესახებ
- განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები (დაწყებითი საფეხური)
- კითხვარი პედაგოგებისთვის

- სამოქმედო გეგმა - 2025-26 სასწავლო წელი
- სამოქმედო გეგმის ანგარიში - 2024-25 სასწავლო წელი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

პროფესიული ორიენტაცია სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე. სკოლას აქვს გაფორმებული მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სსიპ კოლეჯი - ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია. აღნიშულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისსწინებს სკოლასა და კონკრეტულ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობით პროფესიული ორიენტაციისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვსა და განხორციელებას, ერთობლივი საგანმანთლებლო, შემოქმედებით თუ კვლევით საქმიანობას, ტრენინგებსა და ლექციებში სკოლა მწიგნობართუხუცესის მოსწავლეების ჩართულობას, შეთანხმების მიხედვით ვიზიტს ორგანიზაციაში. საავტორიზაციო ვიზიტის დროისთვის, სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ განხორციელებული ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. **4.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებები მოწმობს, რომ ინფორმირებულნი არიან კარიერული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ, მხარდაჭერილია მოსწავლეთა მიღწევები და ფლობენ საჭირო ცნობებს სამომავლო პროფესიული საკითხების ირგვლივ. **4.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დაწესებულება პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, რაც მოიცავს როგორც ინტერვიურებას, ისე ანკეტურ გამოკითხვებს და უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და თანამშრომლების ჩართულობას შეფასების პროცესში.

გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ და გამოიყენება სკოლის ძლიერი მხარეებისა და განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების შედეგები არ რჩება ფორმალურ დონეზე, არამედ საფუძვლად ედება მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. კერძოდ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, ღონისძიებები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის მიზნობრივ და სისტემურ ხასიათს.**4.2.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაფორმებული მემორანდუმები
- განხორციელებული აქტივობების ფოტო-მასალა
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- დირექტორის ბრძანება - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ვიზიტის დროისთვის ირიცხებოდა ორი სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ სპეციალურ მასწავლებელს, დაათვალიერეს რესურს-ოთახი. ერთ-ერთი სსსმ მოსწავლე (საშუალო საფეხური) ადაპტირებულია სასკოლო გარემოსთან და პედაგოგების მხრიდან იღებს საგნობრივ მხარდაჭერას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ფარგლებში, მეორე მათგანი [redacted] კლასის მოსწავლეა, არსებობს ისგ ჯგუფი და შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. რესურს-ოთახი გამოირჩევა მრავალფეროვანი რესურსებით, მოსწავლეთა მხარდამჭერი პოსტერებითა და ვიზუალური მასალით. სპეც მასწავლებელთან ჩატარებული გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობს როგორც სკოლის ფსიქოლოგთან, ისე საგნის პედაგოგებთან, ესწრება გაკვეთილებს, გასცემს უკუკავშირს, ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესებში. სკოლა ხელმძღვანელობს "ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით". **4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად სასწავლო წლის მანძილზე პერიოდულად იკრიბება ისგ ჯგუფი, განიხილავს მოსწავლის აქტუალურ მდგომარეობას, განსაზღვრავენ სამომავლო გეგმებსა და საჭირო ცვლილებებს მასთან მუშაობის მიმართულებით. სასკოლო საზოგადოება კეთილგანწყობილია სსსმ მოსწალეების მიმართ, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მათი ინდივიდუალური მახასიათებლები. **4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რესურს ოთახის ვიზუალური დათვალიერება
- ისგ სხდომის ოქმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასებები
- სპეც მასწავლებლის პორტფოლიო
- ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობებიდან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ მუშაობას დაწყებით საფეხურზე. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კვება, ფლობს HACCP საკონსულტაციო ცენტრთან თანამშრომლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, სასადილოს ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სრული მენიუ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს, რომელიც უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო და დროული გადაადგილებას სახლიდან სკოლამდე და სკოლის დასრულების შემდეგ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას. ტრანსპორტირების პროცესი ხორციელდება დადგენილი მარშრუტებისა და განრიგის შესაბამისად, რაც წინასწარ შეთანხმებულია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტრანსპორტირების სერვისი ხელს უწყობს მოსწავლეთა დასწრების რეგულარობას, ამცირებს დაგვიანების შემთხვევებს და ზრდის სასკოლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის, ფეხბურთის, წყალბურთის კლუბები, არსებობს კლუბის მუშაობის დებულებები (განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელში). აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. **4.2.4.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით, მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმებული წესითა და პირობებით. **ინდიკატორი 4.2.4.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ზემოთჩამოთვლილი სერვისები ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და მიმართულია მოსწავლეთა განვითარებისა და ხელშეწყობისკენ. **4.2.4.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- HACCP სერტიფიკატი
- კლუბების მუშაობის დებულებები
- იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 30.12.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: